

თინა იველაშვილი

მათ ჩვენი კულტურის მოსპობა აინტერესებთ

საქართველოში ჯერაც არ ჩამცხრალა ხელისუფლების მიერ ხალხისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნათა გათვალისწინების გარეშე მიღებული „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის მიმართ წარმოქმნილი ვნებათაღელვა და, აი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბ. ობამამ მსოფლიოს ახარა ქვეყნის ორმოცდაათივე შტატში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება და ეს უმსგავსობა ამერიკის „დიდ გამარჯვებად“ გამოაცხადა. ესეც არ იკმარეს და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯ. ბაიდენმა გეების უფლებადამცველებთან ერთად შეკრებილ ბრიტანეთის, შვედეთის, დანიის და ისლანდიის ელჩებს გამოუცხადა: “პრეზიდენტ ობამას დავალებით აშშ-ს დიპლომატიურმა სამსახურმა ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიოში გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების უფლებების დაცვას. მე არ მაინტერესებს არავისი და, მათ შორის, თქვენი კულტურა.” ეს განცხადება, ფაქტობრივად, მსოფლიოს მოსახლეობის დეგენერაცია-დეგრადაციის ერთ-ერთ ამერიკულ მოდელს წარმოადგენს.

ჩვენმა ხელისუფლებამ, ხალხისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნათა გათვალისწინების გარეშე, 2014 წელს ერთხმად მიიღო —

„საქართველოს კანონი
დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

მუხლი 1. **კანონის მიზანი.**

ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლ-

ობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

***მუხლი 2.* დისკრიმინაციის ცნება. დისკრიმინაციის აკრძალვა.**

1. საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

2. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

3. ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

4. მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია ორი ან მეტი ნიშნის გამო.

5. აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად.

6. ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.

7. დისკრიმინაცია არ არის სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ.

8. დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.

9. განსხვავებული მოპყრობა, პირობების შექმნა ან/და მდგომარეობა დასაშვებია, თუ არსებობს სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი და სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში..

***მუხლი 3.* კანონის მოქმედების სფერო.**

ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედებები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტით, რომელიც შეესაბამება ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

***მუხლი 4.* დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები.**

დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას;

ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს;

გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართ-

ველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

***მუხლი 5.* ამ კანონის ინტერპრეტაციის წესი და ფარგლები.**

1. ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რელიგიური გაერთიანებისათვის რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინარე უფლებების (მათ შორის, რელიგიური მსახურების უფლების) შეზღუდვას, იმ პირობით, რომ ამ უფლებებით სარგებლობა არ ხელყოფს საჯარო წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან/და სხვათა უფლებებს.

2. ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციურ შეთანხმებას.

3. დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განხორციელებულმა ღონისძიებებმა ან ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის მქონე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელებამ/დაცვამ არ უნდა ხელყოს საჯარო წესრიგი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან/და სხვათა უფლებები.

4. აკრძალულია ამ კანონით განსაზღვრული უფლებებით ისე სარგებლობა, რომ იგი მიზნად ისახავდეს ან იწვევდეს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის მქონე პირებს ან პირთა ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებას.

5. ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი არარად აქცევდეს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე უფლებას ან თავისუფლებას ან ზღუდავდეს მას იმაზე მეტად, ვიდრე ეს თვით ამ ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

***მუხლი 6.* დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელება.**

1. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

2. საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საქართველოს სახალხო დამცველი:

ა) განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს;

ბ) შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას;

გ) აშზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

დ) ამ კანონის მიზნებისათვის შეიმუშავებს მოსაზრებებს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და მათ საკანონმდებლო წინადადების სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;

ე) იწვევს დისკრიმინაციის მსხვერპლს და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს და ცდილობს საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს;

ვ) დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას ან პირს, თუ საქმის მორიგებით დასრულება შეუძლებელი აღმოჩნდება და არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს;

ზ) უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს;

თ) აღრიცხავს და აანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ;

ი) ახორციელებს ღონისძიებებს დისკრიმინაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად;

კ) დისკრიმინაციის საკითხებზე თანამშრომლობს საერთაშორისო სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

***მუხლი 7.* საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში.**

1. საქართველოს სახალხო დამცველი წელიწადში ერთხელ შეი-

მუშავებს და აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.

2. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას.

***მუხლი 8.* საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვა.**

1. პირმა, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით/საჩივრით მიმართავს, უნდა მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, და უნდა წარადგინოს შესაბამისი მასალები.

2. პირმა საქართველოს სახალხო დამცველს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

3. თუ საქართველოს სახალხო დამცველი საჭიროდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია დანიშნოს ზეპირი მოსმენა და მოიწვიოს მხარეები საქმის მორიგებით დასასრულებლად. საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებს მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

4. ნებისმიერი ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მათ შორის, პროკურატურის, საგამოძიებო, სასამართლო ორგანო) ვალდებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია კანონით დადგენილი წესების დაცვით გადასცეს საქართველოს სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. თუ ინფორმაცია ნებაყოფლობით კერძო პირისგან მიიღება, მას საკუთარი მოთხოვნით შეიძლება აუნაზღაურდეს ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებული ასლის გადაღების და საფოსტო მომსახურების ხარჯები.

5. საქართველოს სახალხო დამცველი განცხადებას/საჩივარს განიხილავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

***მუხლი 9.* საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღება.**

1. საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო:

ა) დავას სასამართლო განიხილავს;

ბ) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

გ) მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.

2. საქართველოს სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის იმავე ფაქტის გამო:

ა) საქმეზე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება;

ბ) განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.

3. თუ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი და დისკრიმინაციის შედეგები არ არის აღმოფხვრილი, საქართველოს სახალხო დამცველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით ასრულებს საქმის წარმოებას დარღვეული თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელების შესახებ რეკომენდაციის გამოცემით.

***მუხლი 10.* სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა.**

1. ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

2. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

***მუხლი 11.* საქმის განხილვის პროცესში მესამე პირის მონაწილეობა.**

1. ორგანიზაციას, დაწესებულებას ან გაერთიანებას, რომლის საქმიანობის სფეროც მოიცავს პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვას, უფლება აქვს, მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს ამ კანონით გათვალისწინებული საქმის განხილვის პროცესში მესამე პირად ჩართვის მოთხოვნით.

2. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ამ მუხ-

ლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ პირის თანხმობის შემთხვევაში, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს.

***მუხლი 12.* კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას პირთა დაცვა.**

1. აკრძალულია ნებისმიერი პირის მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ მან დისკრიმინაციისაგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.

2. ამ კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელებისას და შემდეგაც შესაბამისმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს დისკრიმინაციის მსხვერპლთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. აკრძალულია დისკრიმინაციის მსხვერპლის თანხმობის გარეშე ამგვარი ინფორმაციის მესამე პირისთვის მიწოდება, გარდა კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. ამ მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში დისკრიმინაციის მსხვერპლს უფლება აქვს, განცხადებით მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს.

***მუხლი 13.* კანონის ამოქმედება.**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.
ქუთაისი, 2 მაისი 2014 წ. N2391-IIს".

ამ კანონის მიღებამდე საქართველოს სამოციქულო ეკლესია რჩევას იძლეოდა, ხელისუფლებას საკითხი კარგად, მთელი სიგრძე-სიგანით გაეაზრებინა, თუ რა ნაღმი იყო მასში სამომავლოდ ჩადებული, და შემდეგ მიეღო სათანადო გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მთავრობამ მეტად სახიფათო ნაბიჯი გადადგა და აღნიშნული კანონი (თითქოს და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შეთანხმებით) აჩქარებული წესით დაამტკიცა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქომ საგანგებო განცხადება გააკეთა. მასში აღნიშნულია: „ვრცელდება არასწორი აზრი, თითქოს გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ ანტიდისკრიმინაციული კანონი მისაღები გახდა ეკლესიისათვისაც. კანონპროექტის ახალ ვერსიას საქართველოს საპატრიარქო ვერ დაეთანხმება, რადგან ბოლო ვარი-

ანტის გაანალიზების საშუალება არ გვქონდა. ზეპირი საუბრებით და ცალკეული სასულიერო პირების განცხადებებით კი ასეთ სერიოზულ თემაზე ნაჩქარევი შეფასების გაკეთება ეკლესიის მხრიდან მართებული არ არის".[1]

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში საკმაოდ სახიფათო მუხტია ჩადებული. კერძოდ: აქ მხოლოდ ტერმინი „სქესი" მარტოოდენ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის მნიშვნელობით არის განმარტებული. საინტერესოა, ასეთი მიდგომით სხვა ტერმინებიც რატომ არ გაშალეს?

კანონში სახიფათო ასევე ისაა, რომ ეროვნულობა და ეთნიკური კუთვნილება სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტურობასთან არის გათანაბრებული და ერთ ჭრილში განიხილება, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამ კანონის მიღების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ამაყად განაცხადა: „როგორც მთავრობის მეთაური და კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი, სრული პასუცისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს არ მიიღება არცერთი ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი კანონი და არავითარი საფრთხე არ არსებობს, რომ ამ კანონით ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ტრადიციებსა და ფასეულობებს საფრთხეს შევუქმნით." სამწუხაროდ, ამ კანონის მიღებით ჩვენს ეროვნულ ტრადიციებსა და ფასეულობებს საფრთხე უკვე შეუქმნა.

ჩვენ ერთ-ერთ სტატიაში საგანგებოდ შევეხეთ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ მიღებული კანონის პირველ მუხლს და აღვნიშნეთ: „უპირველესად ყურადღებას განსაკუთრებით გავამახვილებთ პირველ მუხლზე. მასში მითითებულია: „ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტურობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა ნიშნის

[1] საპატრიარქოს უწყებანი, 2, 2014 წ.

მიუხედავად."

როგორც ჩანს, იგი ეფუძნება: ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის განცხადებას (17. 05. 2011); ადამიანთა უფლებების შესახებ ევროპის საბჭოს კომისრის მოხსენებას „დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის საფუძველზე ევროპაში" (23. 06. 2011); ადამიანის უფლებების შესახებ გაეროს რეზოლუციას — „ადამიანის უფლებები, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტურობა" (17. 06. 2011); „ჰომოფობიასთან" დაკავშირებით ჰომოსექსუალისტებისა და მათი გაერთიანებისათვის განსაკუთრებული და პრივილიგირებული უფლებების შესახებ ევროსასამართლოს ზოგიერთ აშკარად ტენდენციურ და ორმაგი სტანდარტების შემცველ გადაწყვეტილებას და არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის განცხადებას.[2]

რაც შეეხება მეორე, მესამე და მეოთხე მუხლებს, ეს სრულიად ზედმეტია, რადგან მათში მითითებული ყველა პარაგრაფი, დიდი ხანია, ისედაც მოქმედებს ჩვენს საზოგადოებაში.

ამ კანონის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე მუხლები სახალხო დამცველის აპარატსა და მასთან გაერთიანებულ 28 სხვადასხვა სექტის წარმომადგენლებს ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩარევის თითქმის შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებს. ფაქტობივად, იგი პარლამენტისა და პრეზიდენტის ფუნქციებს ითავსებს.

მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე მუხლები სრულიად ზედმეტია, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ყველას ისედაც აქვს.

კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ არ მიესადაგება ქართველი ერის ტრადიციებსა და ჯანსაღი ცხოვრების წესს. ყოველი ასეთი კანონი ერის სულიერი და სახელმწიფოებრივი, ტერიტორიული, საზოგადოებრივი თუ რელიგიური გახლეჩა-დანაწევრების გამომწვევია. ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება, მართალია, ძლიერ ზემოქმედებას განიცდის, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც მეტი წინააღმდეგობის გაწევა გვმართებს იმ კანონების მიმართ, გარე ძალები რასაც გვკარნახობენ.

საერთოდ, „სექსუალური ორიენტაცია არის ადამიანის შესაძლებლობა ან გამოცდილება, მოხიბლოს რომელიმე ან ორივე სქესი, რომანტიულად და/ან სექსუალურად". რაც შეეხება გენდერულ

[2] თ. ფელაშვილი, პოლიტიკური სიბეცე თუ შეგნებული დანაშაული, ჟურნ. „კვალი," 3, თბ., 2015, გვ. 456.

იდენტურობას, იგი განსაზღვრულია იმისდა მიხედვით, თუ „ადამიანი თავს როგორ მიიჩნევს, როგორც ქალი, ან კაცი. პიროვნების გენდერული იდენტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღზრდის კულტურას, ოჯახური ცხოვრების ყოველდღიურობას, საზოგადოების გავლენას, როგორც სკოლამდელ, ასევე უფროს ასაკში.“ [3]

აღნიშნული განმარტებიდან ჩანს, რომ ე. წ. „სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტურობა“ მოსახლეობის უმრავლესობისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის, აზროვნების, ქცევის ფსიქოლოგიისა და შეხედულებათა სისტემისგან არსებითად განსხვავდება. საერთოდ, ტერმინი „სექსუალური ორიენტაცია“ საეჭვოა, რადგან ნორმალურად ითვლება მხოლოდ ის ორიენტაცია, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის ურთიერთლტოლვას. სხვა დანარჩენი ე. წ. „ორიენტაცია“ ბიოლოგიური ნორმიდან გადახრაა, რომელიც ფსიქოლოგიურ დაავადებად ითვლებოდა 1973 წლამდე. ამ წელს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ მიიღო გადაწყვეტილება დაავადებათა ნუსხიდან ჰომოსექსუალიზმის ამოღების შესახებ, რაც ნაკარნახევი იყო არა მეცნიერული კვლევებით, არამედ პოლიტიკური მოტივებით. ჰომოსექსუალისტების ნორმალურობის დასასაბუთებლად მათი უფლებადამცველები ამ ერთადერთ დოკუმენტს იშველიებენ.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, როდესაც ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ მთელმა რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათ რიგებში დაფრთიანებულმა, დღევანდელი მთავრობის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა დაიწყეს საუბარი, ირაკლი ღარიბაშვილი მიხვდა, თუ რა საშიშროება ემუქრებოდა სახელმწიფოს სიმტკიცის ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტს — ოჯახს და სრული გულწრფელობით საჯაროდ აღიარა: „რაზე დგას ქართული სახელმწიფო? — ჩვენს სარწმუნოებაზე, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა და ოჯახის ინსტიტუტზე, რომელსაც თანამედროვე ძლიერი საქართველო უნდა დაეფუძნოს. ოჯახს მეორე ტაძარს უწოდებენ და მწამს, რომ სწორედ ოჯახია ყველანაირი სიკეთის საწინდარი. ამდენად, მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, ყველაფერს გავაკეთებ, რათა კონსტიტუციაში გაჩნდეს ჩანაწერი, რომ ქორწინება და ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა! დღეს მსოფლიოში ყველა სახელმწიფო ამ საკითხს თავისებურად წყვეტს. ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოში ასე უნდა მოგვარდეს.“ ოჯახის

[3] გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 2003, გვ. 112.

მიმართ მას ეს პოზიცია არ აპატიეს და სულ მალე პრემიერ-მინისტრის პოსტი დაატოვებინეს.

ზოგიერთები გვიკიჟინებენ, რომ, მართალია, ერთსქესიანთა კავშირი ტრადიციული არ არის, მაგრამ მას მაინც გაგებით უნდა მოვეკიდოთ. კი, ბატონო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმებიდან ავადმყოფური გადახვევა იყო, საქართველოში ყოველთვის გაგებით ეკიდებოდნენ და მათი ჩაგვრა (სამსახურებრივი თუ კარიერული) არასოდეს ყოფილა, რადგან ისინი ამ თავიანთი ავადმყოფობის აფიშირებას არ ეწეოდნენ და საზოგადოებას თავს არ ახვევდნენ.

უცხოეთიდან მსუყედ დაფინანსებული ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია: „მედიის განვითარების ფონდი," „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა," „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი," „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი," „საქართველოს რეფორმების ასოციაცია," „იდენტობა," „საფარი," „კონსტიტუციის 42-ე მუხლი," „უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი," „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და მრავალნი სხვანი აღშფოთებულები არიან იმის გამო, რომ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა სექსუალური გადახრების მქონე ადამიამები, ზემოთ აღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, სრულიად სამართლიანად ფსიქიკურად დაავადებულებად მიიჩნია. მათი აზრით, ასეთი განცხადებები ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას და ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კონცეფციას ეწინააღმდეგება. იგი (ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი) თითქოს საზოგადოებაში ამგვარი ადამიანების მიმართ შეუმწყნარებლობისა და სიძულვილის ატმოსფეროს აძლიერებს. მათ შევახსენებთ, რომ ქართული საზოგადოება ყოველი დაავადებულის (ფსიქიკური თუ ფიზიკური) მიმართ მუდამ შემწყნარებელი იყო და შეძლებისდაგვარად ცდილობდა, მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა. ამდენად, ქართველი კაცის დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ არ შეიძლება შეფასდეს როგორც რაღაც სექსუალური ორიენტაციის მქონეთა დისკრიმინაცია, დევნა, სიძულვილი, სოციალური იზოლაცია და ძალადობა. დღეისათვის სექსუალური უმცირესობის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება გამოწვეულია იმით, რომ იგი პროზელიტურ იდეოლოგიად იქცა, რომელსაც უნივერსალობის, საერთაშორისო აღიარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პრეტენზია აქვს.

მართალია, გარკვეული პოლიტიკური მოტივებით ეს დაავადება (1973 წლის 17 მაისიდან) ამოღებულია დაავადებათა ნუსხიდან, მაგრამ მისი შესწავლა-კვლევა სპეციალისტებს არ შეუწყვეტიათ და გარკვეული შედეგებიც მიიღეს. ამის ნათელი დასტურია 1995 წელს გამოცემული ცნობილი ამერიკელი პედერასტოლოგის მაიკლ სოკარიდესის ფუნდამენტალური ნაშრომი, სადაც დასაბუთებულია, რომ სწორი ფსიქო-თერაპიული მკურნალობის შედეგად საქსუალური გადახრების მქონე პირთა გარკვეული რაოდენობის (მინიმუმ ერთი მესამედის მაინც) განკურნება სრულიად შესაძლებელია. სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციამ მისი დაავადებათა ნუსხიდან ამოღებით გადაფარა ზემოთ მითითებული სექტანტური საქმიანობის ნამდვილი ამოცანები და მიზნები.

რაც შეეხება ე. წ. არასამთავროებს ანუ მესამე სექტორს, რომელიც უცხოეთიდან ყოველწლიურად მრავალი ათეული მილიონით ფინანსდება, საკითხავია: ვის მიერ დაგეგმილი ამოცანების შემსრულებელნი არიან, რატომ აქვთ მათ ასეთი დიდი გავლენა ყველა მმართველ ხელისუფლებაზე, ფაქტობრივად, რატომ მართავენ ეს უცხოეთიდან დაფინანსებული ენჯეოები ქვეყანას, რატომ ასრულებს უსიტყვოდ ამ ვაი-იურისტების ყველა მითითებას ხელისუფლება?

ფაქტია, რომ დღეისათვის ჰომოსექსუალიზმი ჩამოყალიბდა გარკვეულ სექტის იდეოლოგიად, რომელსაც აქვს აგრესიული პროზელიტური ხასიათი. ამის ნათელი დასტურია მათ მიერ 1987 წელს მიღებული საყოველთაო მანიფესტი, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ეს სექტა საერთოდ, კაცობრიობისთვის საკმაოდ საშიში ორგანიზაციაა.

საილუსტრაციოდ მოვიტანთ ამ მანიფესტის მთლიან ტექსტს:

„ჩვენ სოდომური ცოდვით დავკავდებით თქვენს ვაჟიშვილებთან, რომლებიც თქვენი უსუსური მამაკაცურობის, ცარიელი ოცნებისა და ჩვეული სიცრუის სიმბოლოს წარმოადგენენ. ჩვენ მათ ვაცთუნებთ თქვენსავე სკოლებში, საერთო საცხოვრებელებში, გიმნაზიებში, გასახდელებში, სპორტდარბაზებში, სემინარიებში, ახალგაზრდულ ჯგუფებში, კინოთეატრების ტუალეტებში, სამხედრო ყაზარმებში, მოტელებში, მამაკაცთა კლუბებში და პარლამენტის შენობებში, ყველგან, სადაც კი მამაკაცები ხვდებიან სხვა მამაკაცებს. ისინი ჩვენი საყვარლები გახდებიან და შეასრულებენ ჩვენს ბრძანებებს. ისინი ჩვენი იმიჯის რევანშირებას ახდენენ. მათ ექნებათ ჩვენი მწველი სურვილი და გაგვაღმერთებენ ჩვენ.

ქალებო, მოითხოვეთ თავისუფლება. თქვენ ამბობთ, რომ კაცები თქვენ უკვე აღარ გაკმაყოფილებთ, რომ ისინი ანგრევენ თქვენს ბედნიერებას. კი ბატონო, ჩვენ მამაკაცის სახის, მამაკაცის სხეულის დამფასებელნი, ჩამოგართმევთ მათ თქვენ. ჩვენ მათ გავართობთ, ჩვენ მათ ვასწავლით, გულში ჩავიხუტებთ, როცა იტირებენ.

ქალებო, თქვენ ამბობთ, რომ კაცებთან ცხოვრების ნაცვლად, ერთმანეთთან ცხოვრება გსურთ. მაშინ, მიდით და იცხოვრეთ ერთმანეთთან. ჩვენ მივანიჭებთ თქვენს კაცებს მათთვის აქამომდე არნახულ სიამოვნებას, იმიტომ რომ ჩვენ უპირველესად მამაკაცები ვართ, და მხოლოდ მამაკაცმა იცის, თუ ჭეშმარიტად როგორ ასიამოვნოს მეორე მამაკაცს, მხოლოდ მამაკაცს შეუძლია, ჩასწვდეს მეორე მამაკაცის გრძნობებსა და განცდების სიღრმეს, გაუგოს მის გონებასა და სხეულს.

ყველა კანონი, რომელიც კრძალავს ჰომოსექსუალიზმს, გაუქმდება. მის ნაცვლად მიღებულ იქნება ახალი კანონმდებლობა, რომელიც წაახალისებს სიყვარულს მამაკაცებს შორის. ყველა ჰომოსექსუალისტმა მხარი მხარს უნდა მისცეს, როგორც ძმებმა. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ მხატვრული, ფილოსოფიური, სოციალური, პოლიტიკური და ფინანსური თვალსაზრისით. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვიზეიმებთ, როდესაც შევძლებთ ჩვენი ბოროტი ჰეტეროსექსუალური მტრისათვის ჩვენი ერთიანობის ჩვენებას.

თუ თქვენ გაბედავთ და გვიწოდებთ ჩვენ გეის ან პედერასტებს, ჩვენ განვგმირავთ თქვენს მხდალ გულებს და წავბილწავთ თქვენს მკვდარ უბადრუკ სხეულებს.

ჩვენ მივუძღვნით ლექსებს მამაკაცებს შორის სიყვარულს. ჩვენ დავდგამთ სპექტაკლებს, რომლებშიც მამაკაცები ღიად ეალერსებიან მამაკაცებს. ჩვენ გადავიღებთ ფილმებს მამაც გმირებს შორის სიყვარულზე, რომლებიც შეცვლიან თქვენს იაფფასიან, ხელოვნურ, სენტიმენტალურ, მოსაწყენ, ინფანტილურ ჰეტეროსექსუალურ ვნებებს, მათ, რომლებიც დღეს დომინირებენ კინოეკრანებზე. ჩვენ გამოვაქანდაკებთ ლამაზი და ახალგაზრდა მამაკაცების, გაბედული ათლეტების ქანდაკებებს და დავდგამთ მათ თქვენს პარკებში, მოედნებზე და სავაჭრო რიგებში. მსოფლიო მუზეუმები გაივსება შესანიშნავი შიშველი ჭაბუკების გამოსახულებებით. **ჩვენი მწერლები და მუსიკოსები მამაკაცებს შორის სიყვარულს მოდურს გახდიან და პრესტიჟულად აქცევენ მას. და ჩვენ ამას შევძლებთ, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ექსპერტები სტილის პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენ განვდევნით ჰეტეროსექსუალურ სამიჯნურო კავშირებს იუმორისა და**

სატირის მეშვეობით, იმ მექანიზმების გამოყენებით, რომლის გამოცდილებაც გაგვაჩნია.

ჩვენ ჩამოვხსნით ნიღაბს გავლენიან ჰომოსექსუალისტებს, რომლებიც თავს ჰეტეროსექსუალებად ასაღებენ. თქვენ შეძრწუნდებით და შეშინდებით, როდესაც გაიგებთ, რომ თქვენი პრეზიდენტები და მათი ვაჟიშვილები, თქვენი მეწარმეები და სენატორები, თქვენი მერები და გენერლები, თქვენი ათლეტები და კინოვარსკვლავები, თქვენი დიქტორები და საზოგადო მოღვაწეები, თქვენი მღვდლები არ არიან ჩვეულებრივი და საიმედო ჰეტეროსექსუალი ბურჟუები, როგორიც თქვენ ისინი გგონიათ.

ჩვენ ყველგან ვართ — ჩვენ შევაღწიეთ თქვენს რიგებში. ფრთხილად იყავით, როდესაც საუბრობთ ჰომოსექსუალისტების შესახებ, იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის თქვენს შორის ვართ. შესაძლოა თქვენს პირდაპირ ვზივართ, ან თქვენთან ერთად გვძინავს ერთ საწოლში.

არანაირი კომპრომისი არ იქნება. ჩვენ არა ვართ საშუალო კლასის დოყლაპიები. ჩვენ ვართ ძალიან ინტელექტუალური, ბუნებრივი არისტოკრატები ადამიანის რასაში, ხოლო ცისფერი სისხლი არასდროს წავა დათმობაზე. **ისინი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ წავლენ, განდევნილ იქნებიან. თქვენს გასანადგურებლად ჩვენ გამოვიყენებთ უზარმაზარ კერძო არმიებს, როგორც ეს მიშიმამ გააკეთა. ჩვენ დავიპყრობთ მსოფლიოს, იმიტომ რომ ჯარისკაცები, შთაგონებულნი და ერთმანეთთან დაკავშირებულნი ჰომოსექსუალური სიყვარულითა და პატივისცემით, ძველებრძენი მეომრებივით დაუმარცხებელნი არიან.**

ოჯახი — ეს სიცრუის, ღალატის, უძლურების, პირმოთნეობის და სისასტიკის სანაგვე — გაუქმდება. ოჯახის ინსტიტუტი, რომელიც წამლავს წარმოსახვასა და თრგუნავს თავისუფალ ნებას, აღმოფხვრილი იქნება. გენეტიკურ ლაბორატორიებში მოხდება სრულყოფილი ვაჟების ჩასახვა და გამოზრდა. ისინი გაერთიანდებიან კომუნებში, რომლებსაც გამოცდილი პიროვნებები უხელმძღვანელებენ.

ყველა ეკლესია, რომელიც ჩვენ დაგვგმობს, დაიხურება. ჩვენი ერთადერთი ღმერთები სიმპათიური ჭაბუკები არიან. ჩვენ სილამაზის, ზნეობრიობისა და ესთეტიკის კულტის მიმდევრები ვართ. ყველაფერი მახინჯი, ვულგარული და ბანალური განადგურდება. ვინაიდან ჩვენ გაუცხოვებულნი ვართ საშუალო კლასის ჰეტეროსექსუალური წრეებისათვის, ამიტომ შეგვიძლია, ვიცხოვროთ წმინდა წარმოსახვის მიხედვით. ძალიან ბევრიც კი არაა საკმარისი ჩვენთვის.

ჩვენი მომავალი დახვეწილი საზოგადოების მართვას განახო-

რციელებს ელიტა, რომელიც შედგება პოეტებისაგან. ახალ ჰომოეროტიკულ საზოგადოებაში სახელმწიფო თანამდებობის პრეტენდენტების მიმართ ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იქნება მათი ბერძნული ენებით გატაცება. ყოველი ჰეტეროსექსუალური ავხორცობით დასნებოვნებული პირი ავტომატურად მოხსნილი იქნება თანამდებობიდან. **ყოველი კაცი, რომელიც დაიჟინებს სულელურ ჰეტეროსექსუალობას, გასამართლდება ჰომოსექსუალთა მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ და გახდება შეუმჩნეველი.**

ჩვენ გადავწერთ ისტორიას, რომელიც თქვენ გაავსეთ და დაამცირეთ თქვენი ჰეტეროსექსუალური სიცრუითა და დამახინჯებით. ჩვენ აღვწერთ დიდი ლიდერებისა და მოაზროვნეების ჰომოსექსუალიზმს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მსოფლიო. ჩვენ მოვახდენთ ჰომოსექსუალიზმის, ინტელექტუალობისა და შემოქმედების უწყვეტი კავშირის დემონსტრირებას, ჰომოსექსუალიზმისა, როგორც საწინდარისა ჭეშმარიტი კეთილშობილებისა და ნამდვილი სილამაზისა მამაკაცში.

ჩვენ გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენ გვამოძრავებს დაჩაგრულთა მწარე ტანჯვა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იძულებულნი არიან, ითამაშონ საცოდავი, მეორეხარისხოვანი როლი თქვენს უგემოვნო ჰეტეროსექსუალურ შოუში. ჩვენც შეგვიძლია იარაღის სროლა და ბარიკადების აღმართვა. იკანკალე ჰეტერო-ღორო, როდესაც ჩვენ გამოვჩნდებით ნიღბების გარეშე.“[4]

ამ მანიფესტიდან ნათლად ჩანს, რომ ჰომოსექსუალისტთა ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა შეუმწყნარებლობა და სიძულვილი, რასისტულ-ექსტრემისტული დამოკიდებულება ნორმალური სექსუალური ორიენტაციის სრულფასოვანი ადამიანებისადმი. ეს რასისტული ნეოლიბერალიზმი, ფაქტობრივად, უარს ამბობს სახელმწიფოს არსებობის ძირითად საყრდენ ქვაკუთხედზე. **მისი დევიზია:**

ა) არა სამშობლო და არა ისტორია;

ბ) არა სახელმწიფო და მისი ინტერესები;

გ) არა მშობლიური ანუ სახელმწიფო ენა;

დ) არა სარწმუნოება;

ე) არა საზოგადოება და მისი ინტერესების გათვალისწინება;

ვ) არა ოჯახი;

ზ) არა ბუნებრივი მატება;

თ) არა ზნეობრივ-მორალური და ეთიკური ნორმები;

[4] გაზ, „ასავალ-დასავალი,“ 18, 2014 წ.

ი) არა დამოუკიდებელი ძლიერი ეროვნული სახელმწიფო;

კ) არა კულტურათა მრავალფეროვანება;

ლ) არა სხვადასხვა ცივილიზაციათა თანაარსებობა;

მ) არა წარსული და ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობა;

ნ) არა მომავალი.

მისი მთავარი კრედოა: ისიამოვნე დღევანდელი დღით, ყველაფერზე უარი თქვი შენი სიამოვნების გარდა (მნიშვნელობა არ აქვს, ეს სიამოვნება მორალური იქნება თუ ამორალური), იხელმძღვანელე ერთი გამონათქვამით — „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა.“

სწორედ ეს დევიზია ასახული პარლამენტის თავჯდომარის ერთ-ერთ საჯარო გამონათქვამში: **„ჩემს შვილს არ ვასწავლი, რომ საშობ-ლოსათვის დადოს თავი, ვასწავლი, რომ პირადი ბედნიერებისათვის იბრძოლოს.“ ამგვარი მიმართვით მან საკუთარ შვილს ნება დართო — თავისი პიროვნული სიამოვნებისათვის ცოლად მოიყვანოს მამაკ-აცი, იყოს მამათმავალი, ბისექსუალი, ჰომოსექსუალი, ნარკომანი ან თუნდაც ცხოველური ინსტიქტის დასაკმაყოფილებლად ცხოველთან დაამყაროს სექსუალური ურთიერთობა.**

ამ ქარტიის ავტორთა ჩანაფიქრის განხორციელების წინაპირო-ბები არის:

ა) სახელმწიფო საზღვრების მოშლა, ე. წ. უვიზო რეჟიმი;

ბ) სახელმწიფო (მშობლიური) ენის იგნორირება;

გ) ოჯახის შესუსტება, საბოლოო ჯამში მისი დანგრევა და გაქრო-ბა (მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ოჯახის ინ-სტიტუტი გამოცხადებული იყო ქვეყნის სიმტკიცის ქვაკუთხედად, ხოლო მამათმავლობა — სისხლის სამართლის დანაშაულად);

დ) პირადი საბუთებიდან ეროვნებისა და მამის სახელის ამოღება,რაც საქართველოში უკვე გაკეთდა (მაშინ, როდესაც საბჭო-თა ხელისუფლების პერიოდში პირად საბუთებში გაჩნდა ეროვნებისა და მამის სახელის გრაფები);

ე) თითოეული ინდივიდის მეხსიერებიდან წარსულის თანდა-თანობით ამოშლა;

ვ) „სამშობლოს“ ცნების გაქრობა (მაშინ, როდესაც საბჭოთა ხე-ლისუფლების პერიოდში აღორძინდა სამშობლოს ცნება);

ზ) ინდივიდის საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა და საზოგადოებიდან გაუცხოება.

ყოველივე ამას, საქართველოში, როგორც ბოცვრების საცდელ

ლაბორატორიაში, უცხოელი ლობისტები ჯერ-ჯერობით წარმატებით ახორციელებენ. ამის ნათელი დადასტურებაა ზემოთ მოტანილი კანონი, რითაც კაცობრიობის განადგურება-გადაგვარების იდეოლოგიის მქონე ჰომოსექსუალისტთა სექტას საქართველოში მწვანე შუქი აენთო.

ყველამ კარგად იცის, რომ ერთსქესიანთა ურთიერთობა ახალი მოვლენა არ არის. მისი სათავეები საუკუნეების სიღრმეშია საძებარი. მაგრამ მას არც ერთი ქვეყანა თუ იმპერია პროპაგანდას არ უწევდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოვლენა საზოგადოებაში წინ წამოიწევდა, მაშინ სახელმწიფოს მესვეურნი, იცოდნენ რა მამათმავლობის გააქტიურება მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე როგორ დამღუპველად აისახებოდა, მათ მიმართ საკმაოდ ადეკვატურები იყვნენ და სათანადო ზომებსაც იღებდნენ.

ბიბლიაში მამათმავლობა//ჰომოსექსუალიზმი, როგორც „მომაკვდინებელი ცოდვა," საკმაოდ ამომწურავად არის განმარტებული და დაგმობილი.

„არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წესით. ეს სიბილწეა" (ლევ. 18,22).

„ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან ქალებმა მათი ბუნების წესი არაბუნებითით შეცვალეს. ასევე კაცებმაც დაუტევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი, და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამრი მამრთან იქმოდა სარცხვინელს, და თვითონვე იღებდნენ თავიანთი ცთუნების საკადრის სასჯელს" (რომ. 1,26-27).

„ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს? თავს ნუ მოიტყუებთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი" (1კორ. 6,9).

„არანაირ ცხოველთან არ იქონიო კავშირი, რათა არ გაუწმინდურდე მისგან. არც ქალი არ უნდა დადგეს ცხოველის წინ სამაკინტლოდ, ეს სიბილწეა" (ლევ. 18, 22-23).

„არც ერთი ამ სისაძაგლით არ გაიუწმინდუროთ თავი, რადგან ყოველივე ამით არიან გაუწმინდურებული ის ხალხები, რომლებიც უნდა განვდევნო თქვენგან... ვინც მამაკაცთან დაწვება, ისე, როგორც ქალთან წვებიან, სიბილწეს ჩაიდენენ ორივენი. უნდა მოკვდნენ. მათზეა მათი სისხლი" (ლევ. 20,13).[5]

[5] ბიბლია, თბ., 1989.

თავისი მნიშვნელობით ეს მითითებები ადამიანის, შესაბამისად საზოგადოების, როგორც ზნეობრივ-მორალურ, ისე ფიზიკურ გადაგვარებას ასახავს. და თუ მამათმავლობა/ჰომოსექსუალიზმი საზოგადოებრივ ნორმად იქცა, საბოლოო ჯამში ეს იქნება ამ საზოგადოების გადაშენება-განადგურება, ე. ი. კაცობრიობის მოსპობა.

იოანე ოქროპირი: „სოდომია უფრო საშინელია, ვიდრე მრუშობა, მართალია უკანონოა, მაგრამ ბუნებრივია, მამათმავლობა კი უსჯულოებაცაა და ამავე დროს, ბუნების წინააღმდეგ მიმართული ცოდვაც. რომ არ ყოფილიყო გეენა, მაშინ მამათმავლობა იქნებოდა ყველაზე დიდი სასჯელი....უკეთესია სიკვდილი, ვიდრე ასეთი სიბილწით ცხოვრება. მკვლელი სულსა და ხორცს გაჰყრის ერთმანეთისაგან, მამათმავალი კი ღუპავს როგორც სულს, ისე სხეულს. არ არსებობს ცოდვა, რომელიც ამ ურჯულობას შეედრება და მასში მყოფნი რომ ამ ცოდვის სიმძიმეს აცნობიერებდნენ, ამ სისაძაგლეში ჩავარდნას მრავალგზის სიკვდილს ამჯობინებდნენ.“

რუის-ურბნისის კრების დადგენილებით: „ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ამ სიტყვათა მსმენელ სულს, რომელიც ამ ძეგლის წაკითხვის შემდეგ, არა თუ არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილწეს და საქმით არ მოიმოქმედებს, არამედ თუნდაც ხუმრობით და სიტყვით იტყვის რაღაც საამისოს, გამომხატველ და მიმსგავსებულ სიტყვას და საქმეს წარმოაჩენს, უთუოდ თავს დაატყდება ამ საწუთროში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამგდები რისხვა გოგირდში არეული სოდომური ცეცხლის მსგავსად... „ამისათვის გამცნობებთ ყველასა — დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარს, აზნაურსა და მდაბიორს, მღვდელთა და უმღვდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჭაბუკთა და შუაკაცთა, ყოველსა ჰატივსა და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნების უფროჲსღა საძაგელისა ბილწობისა. და ესრეთ დაუმტკიცებთ სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა: ყოველმან სულმან ქრისტიანემან მართლმადიდებელმან ამით სიტყვითა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა არა იჯმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან და არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ რეცა ლაღობით ფერებისა და სიტყვით თქმისა რათაცა სამოსითა და მისითა დამსახველთა სიტყვათა და საქმეთაგან, უეჭუველად მოიწიოს მას ზედა ამას უკუე საწუთოსა საშინელი რაიმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამხდელი რისხვათ მსგავსად წუნწუბისა თანა ადრეულისაჲ მის სოდომელთა ცეცხლისაჲ, ხოლო

მუნ იგი მიმთვალველ ექმნეს მას, რომელი ვალს წინაშე პირისა უფლისასა და შესწვავს გარემოჲს მისსა მტერთა მისთა. ვინაჲთგან სიყვარული ხორცთაჲ მტრობაჲ არს ღმრთისა და რომელმან გაჰრწნას ტაძარი ღმრთისაჲ, განხრწნეს იგიცა ღმერთმან, და მას თანა და ჩუენგან, ღირსთა მონათა, საღმრთოჲისა მონებისა ღირქმნულთაჲსა, ჰოჲ ჩუენდა, არღარა კურთხევაჲ, არამედ კდემაჲ და მხილებაჲ დაიმკვიდროს საუკუნოჲ.“[6]

კათალიკოს ანტონ პირველის ეპისტოლეზე **მეფე ერეკლე მეორის** 1767 წლის მინაწერში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ჩვენ, ირაკლი მეფემან, მპყრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნებაყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა და აზნაურთა, დიდვაჭართა და გლეხთათა: ღვთის მოწყალებით ამას ზედა დიაღ გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთის განმარისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენს ხალხს ვაფრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს — ან მომწამვლელნი, ან კაცის შემკველნი, ან სიყუარულისა და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებელისა და მიუტევებელის ფინთისა და მყრალისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქონელნი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიანი და საანდაზოს ჯაჯაებით (ჯაჯაობა — ტანჯვა-წამება, თ. ი.) დაიხოცნენ. და ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ.“[7]

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე სასტიკად ეწინააღმდეგება საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და აღნიშნავს:„სულ რომ მარტონი დავრჩეთ ამ დედამიწაზე, ყველა ჩვენმა მეგობარმა, პარტნიორმა თუ მოკავშირემ რომ მიგვატოვოს, მე მაინც ვიტყვი, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება დიდი შეცდომაა, ხელისუფლების მხრიდან დაშვებული შეცდომა. თორემ სხვა დანარჩენ კატეგორიებზე, როგორიცაა ზნეობა, მორალი და ა. შ. ჩემზე უფრო ზნეობრივები და ღირსეულები ილაპარაკებენ, მე მხოლოდ სახელმწიფოზე ვამბობ, კანონმდებლობაზე. დღეს ლამის გაცისარტყელდა ფეისბუქი, ტაში შემოჰკრეს ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. რა ვქნა, თუ მე ვერ შევურიგდი ამ „სიახლეს.“ მაპატიეთ, ვიცი გამკილავთ ზოგიერთი, კრიტიკას არ დაიშურებთ, შეიძლება ქარ-

[6] დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975, გვ. 555-556; ქართული მწერლობა, 2, თბ.,1987, გვ. 231-232.

[7] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1923. გვ. 522.

ცეცხლშიც გამატაროთ, მაგრამ, ალბათ, აზრის თავისუფლება ის უფლებაა, რომელიც მაინც მრჩება, როგორც საჯარო პირს. თქვენი ნებაა, მაკრიტიკეთ, ოღონდ ადამიანების სიძულვილს, შეუწყნარებლობას, რაც მთავარია რუსეთუმეობასა და ამის მსგავსებს ნუ დამაბრალებთ."

„როგორც კი პარლამენტში დავიწყეთ ტრადიციული ქორწინების შესახებ კონსტიტუციური შესწორების პროცედურა, მაშინვე ათობით საპროტესტო წერილი მივიღე უცხოეთის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან თუ სახელმწიფო მოღვაწეებისაგან, არ გაბედოთ და არ შეზღუდოთ ლგბტ-პირების უფლება, იქორწინონ."[8] რადგან გარედან ასეთი ზეწოლა იყო, გადაწყდა მოსახლეობაში რეფერენდუმის ჩატარება. რეფერენდუმის ჩატარებისათვის კი საჭირო იყო 200.000 მოქალაქის ხელმოწერა, რაც უმოკლეს დროში გაკეთდა კიდეც და სულ მალე ცესკო-ში 260.000-ზე მეტი ხელმოწერით წერილი შევიდა. ცესკომ გადამოწმების შემდეგ წერილი პრეზიდენტს გადაუგზავნა. 128 ნაციონალმა და ლიბერასტმა საგანგებო პეტიცია მიართვეს პრეზიდენტს და მოსთხოვეს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა არ დანიშნოს რეფერენდუმი ადამიანის უფლებების შესაზღუდად და არ დააკმაყოფილოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაგზავნილი საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნა სამოქალაქო ქორწინებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნა წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს კონსტიტუციასთან და გრძელვადიანი შედეგების მქონე დარტყმას მიაყენებს ეროვნულ ინტერესებს, გააძლიერებს რუსულ პროპაგანდას და დაამძიმებს ყველა მოწყვლადი ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას."[9] პრეზიდენტმა გ. მარგველაშვილმა არა 200.000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქის, არამედ 128 ლიბერასტის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ოჯახის დანგრევა-დანაწევრების კიდევ ერთი მექანიზმი ამოქმედდა საქართველოში. ეს არის ე. წ. იუვენალური იუსტიციის კანონი, რომლის ძალითაც სოციალურ მუშაკს უფლება ეძლევა ყოველგვარი სასამართლოს ობიექტური გადაწყვეტილების გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ, არა მხოლოდ ისეთი ოჯახიდან, სადაც მშობლების მხრიდან სექსუალური თუ სხვა სახის ფიზიკურ-ფსიქოლოგიური ზეწოლა ხდება, არამედ ეკონომიკურად ღარიბი ოჯახიდანაც, მცირეწ-

[8] გაზ. „ასავალ-დასავალი," 32, 2016 წ.

[9] იქვე.

ლოვანი ბავშვები გაარიდოს და სხვა ოჯახში გააშვილოს. ამ კანონის ამოქმედებისთანავე არაერთი სოციალური მუშაკის მხრიდან ასეთი ქმედების ფაქტი უკვე დაფიქსირდა.

მრავალშვილიანი და ღარიბი ოჯახისადმი სახელმწიფოს მხრიდან ფულადი თუ მატერიალური დახმარების ნაცვლად, ამ კანონის ამოქმედებით სოციალურ მუშაკს მისცეს სრული ულება მცირეწლოვანი ბავშვები ოჯახს, დედის კალთას მოსწყვიტოს და უცხო გარემოში გააშვილოს. ეს კანონი სრულიად დანაშაულებრივია და მიუღებელია, რადგან იგი სიღარიბის საბაბით მიმართულია სახელმწიფოს ისეთი სტრუქტურული ერთეულის შესუსტება-დეგრადირებისაკენ, როგორიცაა ოჯახი.

ჯერ კიდევ XIX ს-ში ოჯახთან დაკავშირებით დიდი ილია ბრძანებდა: „მინამ დედაკაცობა ჩვენში დედაკაცობდა, მამაკაცებს დიდი ზურგი ჰქონდათ, მტერსაც და მოყვარესაც, როგორც იყო უძღვებოდნენ სახელგაუტეხლად, ჩვენი ოჯახი მაგრად იდგა და მაგრად იდგა ჩვენი ქვეყანაცა. შინ დედაკაცი ჰპატრონობდა ოჯახს, ქვეყანას და გარეთ მამაკაცი; დედაკაცი ბურჯი იყო ოჯახისა, ქვეყნისა, და მამაკაცი ზღუდე, გალავანი; სწორედ ამან შეგვინახა, სწორედ ამან შეგვინარჩუნა ჩვენი მიწა-წყალი.... სულით გაძლიერება ჩვენის „დედაკაცობისა“ გაძლიერებაა ოჯახისა, ქვეყნისა, ერისა. როგორიც დედაკაცია, ისეთია ოჯახიცა, როგორიც ოჯახია, ისეთია სახელმწიფოც“[10]. ამ შეფასებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ღირებულება და თუ გვინდა ვიარსებოთ, როგორც სახელმწიფომ, სამომავლოდაც უნდა გავუფრთხილდეთ ქალისა (დედაკაცისა) და მამაკაცის ერთად თანაცხოვრებით შექმნილ ოჯახის სიმტკიცეს.

მეცნიერებაში დადგენილია, რომ ჰიპოფიზი — შინაგანი სეკრეციის ჯირკვალი, რომელიც მოთავსებულია თავის ტვინის ფუძესთან, გავლენას ახდენს ორგანიზმის ზრდასა და განვითარებაზე.[11] სამედიცინო კვლევებით აღმოჩნდა, რომ პაციენტს ეს ჯირკვალი თუ 15-20 %-ით გაზრდილი აქვს, ის უკვე პათოლოგიად ითვლება და ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. დადგენილია, რომ ჰომოსექსუალების აბსოლუტურ უმრავლესობას 4-ჯერ, ე. ი. 400%-ით აქვთ ჰიპოფიზი გაზრდილი და როგორც პათოლოგიას, აუცილებლად სჭირდება ძვირად ღირებული ქირურგიული ოპერაცია.

ჩვენი სახალხო დამცველი და მისი აპარატი საჯაროდ გვმოძ-

[10] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ერთტომეული, თბ., 1985, გვ. 689.

[11] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 465.

ღვრავს, რომ თურმე ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი ტრანსსექსუალებს, თურმე ევროკავშირის რეკომენდაციებში სწერია, რომ თუ ტრანსსექსუალს სქესის შეცვლა უნდა, ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, სადაც ეს ტიპი ისურვებს, საკმაოდ ძვირად ღირებული ოპერაციებიც უნდა დაუფინანსოს. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ანტისახელმწიფოებრივი განაცხადია და ამიტომ დღევანდელ სახალხო დამცველის აპარატს, უმჯობესია, ქვეყნის დამაქცევარ რეკომენდაციათა დამცველის აპარატი ერქვას.

რა საშიშროებას შეიცავს ერთსქესიანთა დაქორწინება?

1. ბიბლიის მცნებების, რაზედაც ათასწლეულების მანძილზე იდგა და იზრდებოდა კაცობრიობა, სრული იგნორირება. სწორედ იქ მოცემული მცნებების დაცვამ კაცობრიობას მისცა საშუალება, რომ თავისი ყოველმხრივი (კულტურა, მეცნიერება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ა. შ.) განვითარების დღევანდელი დონისათვის მიეღწია.

2. მოსახლეობის კატასტროფულად შემცირება;

3. საზოგადოების ზნეობრივ-მორალურად გახრწნა-დაცემა;

4. სისხლით ნათესავ ჰომოსექსუალებს შორის (რადგან ისინი ჯანსაღ მომავალ თაობაზე ფიქრისაგან და მორალურ-ზნეობრივი შეზღუდვებისგან თავისუფალნი იქნებიან) თავისუფალი კავშირი.

ლგბტ-ებისადმი ამგვარი მხარდაჭერა და მათ დასაცავად მიღებული არაერთი კანონი (მათ შორის საქართველოშიც) – ეს არის არა მარტო ნორმალური ორიენტაციის მქონე ადამიანების, ტრადიციული ოჯახების, არამედ მცირე, მაგრამ თვითმყოფადი უძველესი კულტურის მქონე ერებისა და ხალხების განადგურების მიზნით მოწყობილი ფართო მასშტაბიანი კარგად ორგანიზებული შეთქმულება.

დღეს აშკარად იკვეთება, რომ დასავლეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების გარკვეულ წრეებს, ისეთ ქვეყნებში, როგორიც მაგალითად საქართველოა, ურჩევნიათ ყავდეთ გაუნათლებელი, დამოუკიდებელი აზროვნების არმქონე, სხვადასხვა ერისა და სხვადასხვა სარწმუნოების ლიბერასტი მოქალაქეებისაგან შეკოწიწებული მასა, რადგან ასეთი „საზოგადოების“ მართვა ადვილია. სწორედ ამიტომ ე. წ. ლიბერალმა რეფორმატორებმა, ანუ წინა ხელისუფლებამ ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე მსოფლიოს სავალუტო ფონდის სათაო ოფისში წერილი აფრინა და ქართველი ხალხის ადვილად სამართავად კონკრეტული დირექტივები მოითხოვა. პასუხმაც არ დააყოვნა, სადაც მითითებული იყო: „გლობალიზა-

ციის პირობებში ჩვენი მიზნის მისაღწევად საჭიროა, საქართველოში მოსახლეობა მილიონნახევრამდე შემცირდეს-ო“.

სწორედ ასეთი მითითების მიღების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა უცხოეთიდან მართულმა ხელისბიჭებმა სხვადასხვა რელიგიური კონფესიისა და სექტისადმი აშკარა თუ ფარული ხელშეწყობა და ეროვნული განათლების, ეროვნული მეცნიერების, კულტურის, ეროვნული ფასეულობების, ტრადიციების, სარწმუნოების განადგურება დაიწყეს. მათი ოცნება და მიზანია: ე. წ. ლიბერალური საზოგადოების ანუ უეროვნებო, ამორალური, გაუნათლებელი, უკულტურო, უტრადიციო, ზნეობრივად გამოშიგნული ახალი ჯიშის ქართველის გამოყვანა, რომელიც დასავლელ და ოკეანისგაღმელ ბოსებს მონურად მოემსახურება, ხოლო საქართველოს ისეთ ქვეყანად გადაქცევა, სადაც გათელილია ტრადიციული ფასეულობები, ისტორია,კულტურა, რწმენა და სარწმუნოება, ნორმალურობის რანგშია აყვანილი უზნეობა, ამორალიზმი, დახვეწილი ავხორცობა, პიროვნებაში მხოლოდ საკუთარი მე-ს სიამოვნებისთვის ყოველგვარი ზღვარგადასული ქმედების ჩანერგვა და გასაჯაროება-დაკანონება, ეს არის, მორალურ-ზნეობრივი გახრწნის გზით საზოგადოების შიგნიდან დაშლა. ასეთი საზოგადოების მართვა კი უპრობლემოდ და ადვილად შეიძლება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანს თუ მოუშლი სამშობლოს, წარსულს, ეროვნებას, ისტორიას, ეროვნულ ნიადაგზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, რელიგია-სარწმუნოებას, მორალურ-ზნეობრივ ნორმებს, ოჯახის სიმტკიცეს, ეროვნულ ღირსებასა და მენტალიტეტს, მისი მართვა ადვილია. ეს კი, ისეთი მცირერიცხოვანი ერის, როგორის დღეს ქართველობაა, არა მხოლოდ სულიერად, არამედ ფიზიკურადაც სრულ განადგურება-გადაშენებას ნიშნავს.

ახალი მსოფლიოს წესრიგის მომწყობთა ელიტარული კასტის მიზანი მსოფლიოს მოსახლეობის ერთ მილიარდამდე შემცირება, თითოეული ადამიანის სულიერებისგან დაცლა, თავის თავში ჩაკეტვა, მისი მხოლოდ ბიწიერ და ხრწნად ჭურჭლად გადაქცევა, სულიერად დაკნინება-დაუძლურება, ჰუმანური აზროვნების ჩაკვლა და კლერიკალურად მოაზროვნე ამორფული მასის მიღებაა, რომლის მართვა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მათი დევიზია: მასების გონების დაბნელება, ადამიანთა მიერ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობის რწმენის დაკარგვა, სიცოცხლის სიხარულის განცდის

ჩახშობა, რეალური ცხოვრების აღქმის უნარის დაკარგვა, შემოქმედებითი აზროვნებისა და შემართების ჩაკვლა, ქცევისა და მორალური ნორმების, საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინტერესების ანგარიშგაწევისა და დაცვის ვალდებულების იგნორირება.

მათთვის მთავარია, ჰყავდეთ ადვილად სამართავი მსოფლიო. აქადან გამომდინარე, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გაანადგურონ ზოგადად ტრადიციული ოჯახი, ეროვნული ტრადიციები, ზნეობა, დამოუკიდებელი საზოგადოება, ერი, ეროვნება, დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფოებრიობა და ადამიანთა პირადი ღირსებები, რათა ერთპოლუსიანი სამყარო შექმნან ანუ ახალი მსოფლიო წესრიგი დაამყარონ. ამ საქმეში ისინი უხვად აფინანსებენ და წარმატებით იყენებენ ლგბტ-ებს. მათი ორგანიზაციები მთელ მსოფლიოშია უკვე მოდებული და მკაცრად კოორდინირებულ, განსაზღვრულ სუბორდინაციას ექვემდებარებიან.

„ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებისა“ და „ახალი მსოფლიო წესრიგის მოწყობის“ მესვეურთა ქართველ ყურმოჭრილ სულიერ მონა-მსახურებს მიხაკო წერეთლის გამონათქვამს შევახსენებთ: „კოსმოპოლიტიზმი – შეუძლებელი უაზრობაა და არასასურველია. ერთფეროვნება საზოგადოებათა და ბოლოს ერთი საზოგადოების შექმნა შეუძლებელია, რადგანაც მრავალფეროვნება კანონია ბუნებისა და სოციალურ ორგანიზმთა ცხოვრებაც მას ემორჩილება. მრავალ-ფეროვანება არსებულ საზოგადოებათა და რასათა, აგრეთვე მრავალფეროვანება გარემოთა დედამიწის ზურგზედ — შეუძლებელ-ჰყოფენ ერთად-ერთს საკაცობრიო საზოგადოებასა....

შეუძლებლობის გარდა ასეთი ერთობა არც სასურველია. იგი სიკვდილია ინდივიდუალობისა, ორგანულობისა. იგი მოსაწყენია და მკვლელი შემოქმედებისა. თუ ეკონომიური მონობა კუჭის ტკივილია, ეროვნული – მთელი ხორციელ-სულიერ ორგანიზმის, განსაკუთრებით სულის სნეულებაა.“[12]

იმ გეგმის შესრულება, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს მოსახლეობა ეტაპობრივად ოთხი მილიარდით უნდა შემცირდეს, იმ ხალხებით უნდა დაიწყოს, რომლებსაც თვითმყოფადი კულტურა, მტკიცე ეროვნული ტრადიციები, საკუთარი დამწერლობა, მრავალათასწლიანი და მდიდარი ისტორია გააჩნია, რადგან წარსულისა და საკუთარი კულტურის არმქონრე მასასთან შედარებით მათი მართვა ძნელია. მათ კარგად იციან: **„ერის პირქვე დამხობა, გათახ-**

[12] მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, გვ. 239.

სირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა.“ [13]

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ქართველი ხალხის სულიერ და ფიზიკურ არსებობას მრავალი მხრიდან ებრძვიან და ამ ბრძოლაში სხვადასხვა ხერხს იყენებენ. უცხოს, გარედან მოსეულს ვინღა ჩივის, ოცდაათ ვერცხლს დახარბებული საკუთარი თანამემამულენი შეგნებულად თუ შეუგნებლად ე. წ. „ახალი პროგრესიულ-თანამედროვე ევროპული ცივილიზაციისა და ლიბერტიანული იდეების“ დასამკვიდრებლად საკუთარი ხალხის ეროვნული და ფიზიკური გადაგვარების პროცესის დაჩქარებისთვის გულმოდგინედ და თავგამოდებით იბრძვიან. სულ ახლახან, 2016 წლის მარტში ევროკომისიამ საქართველოს ხელისუფლებას საქართველოში ამ საკითხების დაუყოვნებლად განხორციელებისათვის დასკვნის სახით 23 „რეკომენდაცია“ (ფაქტობრივად, ბრძანება) შესთავაზა. მოვიტანთ რამდენიმე მათგანს:

საქართველოში ა) „სიძულვილის ენა გამოიხატა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ საჯარო ღონისძიებათა წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე.

ბ) მაგალითად, 2013 წლის მაისში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ლგბტ ღონისძიებებს — „ქართველი ერის შეურაცხყოფა,“ ჰომოსექსუალიზმს კი „დაავადება“ უწოდა...

გ) საქართველოს ხელისუფლებამ ევროპულ კომისიას გვაცნობა, რომ საგანმანათლებლო სექტორში არ დანერგილა სპეციალური პროგრამები ლგბტ პირთა მიმართ ტოლერანტობის ხელშეწყობისათვის, არც სკოლებში და არც უნივერსიტეტებში. სკოლის სასწავლო პროგრამებში დისკუსია ჰომოსექსუალიზმის არსებობაზე არ არის ჩართული.“

დ) ევროკომისია საქართველოს ხელისუფლებისაგან იმპერატიული ტონით მოითხოვს: „ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართული შეუმწყნარებლობისა და დისკრინიმაციასთან საბრძოლველად სათანადო ნაბიჯები გადაიდგას. ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემისა და სახალხო დამცველის აპარატის ერთობლივი თანამშრომლობით.

[13] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ერთტომეული, თბ., 1985, გვ. 608.

ამ უკანასკნელმა სათანადო დახმარება უნდა გაუწიოს ოფიციალურ დონეზე ლგბტ-ების დეპარტამენტის შექმნას“ (ალბათ, სახალხო დამცველის აპარატთან).

მასალის მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ ესეც საკმარისია, გავიაზროთ, თუ საითკენ არის მიმართული ევროკავშირის ეს „უწყინარი“ რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქარტიის 32-ე პარაგრაფში წერია, რომ „ზოგადად ქარტია არ არის სავალდებულო ინსტრუმენტი, ევროპის საბჭოს წევრები ქვეყნების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეს არის სარეკომენდაციო ხასიათისა და ნებისმიერი სახელმწიფო ქარტიის მოთხოვნებს საკუთარი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით აღასრულებს“, არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც გვიმტკიცებენ, რომ რეკომენდაციები აუცილებლად უნდა შესრულდეს. მათ ზურგსუკან კი არასამთავრობო სექტორიდან წამოსული და სამთავრობო სექტორში მოკალათებული ადამიანები დგანან.

ამის ნათელი დასტურია 2016 წლის მარტში ნიუ-ორკსა და ჰონკონგში ჩატარებული დიდი საერთაშორისო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა ჯიმ იონგ კიმმა განაცხადა, რომ იმ განვითარებად ქვეყნებში, სადაც ლგბტ ადამიანები დისკრიმინაციას განიცდიან, თავის პროექტებს აღარ დააფინანსებს. ვინაიდან საქართველო განვითარებადი (მესამე სამყაროს) ქვეყნების რიცხვშია, ბუნებრივია, ამგვარ დაფინანსებას ვერ მიიღებს, თუ კონსტიტუციაში ჩავწერთ: ქორწინება — ეს არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. როგორც ჩანს, კონსტიტუციაში ამ ცვლილების შეტანის მოწინააღმდეგენი (მნიშვნელობა არ აქვს – მთავრობის წევრები, თუ არასამთავროები) უხვად ფინანსდებიან არა მარტო უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, არამედ მსოფლიო ბანკიდანაც. სწორედ ამიტომ აქვთ ატეხილი ასეთი წიოკობა.

აღნიშნული რეკომენდაციების მონური მორჩილებით მიღება – ეს იქნება ქართული ეროვნული ცნობიერების, ტრადიციების, სარწმუნოების, ქართული ოჯახის ერთიანობის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, საზოგადოდ ზნეობრივი და მორალური ნორმების სასიკვდილო განაჩენი; ეს იქნება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა მისი საბოლოო განადგურებისთვის.

ევროკავშირზე შეყვარებული და, საერთოდ, დასავლეთთან ჯვრისწერაზე მეოცნებე დღევანდელი პარლამენტის თავჯდომარე დ. უსუფაშვილი წინასაარჩევნოდ სატელევიზიო სარეკლამო გამოსვ-

ლებში ბრძანებს: „თავისუფალი მოქალაქეები შევძლებთ ერთად დავ-ძლიოთ უსამართლობა, უმადურობა, ავტორიტარიზმი, ძალადობა, პროტექცია, სიზარმაცე, უკულტურობა, სტერეოტიპები, მოსმენები, ძალადობა ოჯახში, შანტაჟი, თვალთვალი. ამ ყველაფერს შევძლებთ თუ გავთავისუფლდებით როგორც პიროვნებები.“ მივაქციოთ ყურ-ადღება, ამ ჩამონათვალში სახელმწიფოებრივი, ეროვნული, ქვეყნის განვითარების არავითარი კონცეფცია არ ჩანს. აქცენტი აღებულია მხოლოდ პიროვნულ თავისუფლებაზე, როგორც ჰომოსექსუალისტ-თა ქარტიაშია მოცემული.

იგი მოსთქვამს:

„რამდენი რამ გვაწუხებს...(პირველ რიგში ალბათ ის, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ვერ მოასწრო, თ. ი.);

რამდენი რამ გვაქვს მოსაგვარებელი ქვეყანაში...(პირველ რიგში, ალბათ, ნატოში და ევროკავშირში შეთრევა, თ . ი.);

რამ უნდა შეგვაძლებინოს მისი გაკეთება...(ალბათ ზნეობრივი ნორმების, ეროვნული ღირებულებების, ქვეყნისა და საზოგადოე-ბის წინაშე ჩვენი მოქალაქეობრივი ვალდებულებების, ოჯახის წი-ნაშე პასუხისმგებლობის, მდიდარი ისტორიული წარსულის, ყვე-ლასათვის მისაღები ეროვნული ტრადიციების, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისა და ღირებულებების, რწმენისა და სარწმუნოების იგნორირებამ, თ. ი.).

ყველაფერს ერთბაშად ვერ მოვუვლით, მაგრამ რით უნდა და-ვიწყოთ... (რატომღაც ავიწყდება, რომ უკვე დაიწყო უარყოფითი ქმედებებით. ასე მაგალითად: გეიაღლუმზე რესპუბლიკური პარ-ტიის ერთ-ერთი ლიდერისა და პარლამენტარის მონაწილეობით, „ანტიდისკრმინაციული კანონის“ მიღებით, ოჯახთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მო-სახლეობის უდიდესი ნაწილის ნების იგნორირებით, ქვეყანაში რე-ლიგიური შუღლის გაღვივების მცდელობით და ა. შ., თ. ი.).

რა არის ის პირველი ნაბიჯი, რომელიც აუცილებლად სწორი მიმართულებით უნდა გადავდგათ....

ამისათვის საჭიროა პიროვნულად გავთავისუფლდეთ...“[14]

თურმე ამ გათავისუფლებით ჩვენ დავძლევთ ზემოთ მითითებულ „უსამართლობას, უმადურობას, ავტორიტარიზმს, ძალადობას, პრო-ტექციას, სიზარმაცეს, უკულტურობას, სტერეოტიპებს, მოსმენებს, ძალადობას ოჯახში, შანტაჟს, თვალთვალს“ და ა. შ. საინტერესოა,

[14] გაზ.“ასავალ-დასავალი,“ 34, 2016 წ.

აქ ჩამოთვლილი პრობლემები რომ გადავწყვიტოთ და ე. წ. „ევროპულ კეთილდღეობას, ევროპულ თავისუფლებას“ რომ მივაღწიოთ, ბატონი პარლამენტის თავჯდომარე რისგან გათავისუფლებას გვირჩევს?

როგორც ვხედავთ, მისი და მისი თანამოზრეების დევიზია საქართველოსათვის „ევროპული კეთილდღეობა, ევროპული თავისუფლება.“ მას, როგორც პარლამენტის თავჯდომარესა და სახელმწიფოებრივად პასუხისმგებელ პირს, სულაც არ აინტერესებს ეროვნული კეთილდღეობა, ეროვნული ეკონომიკის აღორძინება, კულტურა, მეცნიერება, ეროვნული თავისუფლება და ა. შ.; მხოლოდ და მხოლოდ „ევროპული კეთილდღეობა, ევროპული თავისუფლება.“ ამისათვის კი მთავარია „პიროვნულად გავთავისუფლდეთ“ ზემოთ ჩამოთვლილი ეროვნული ფასეულობებისაგან; მორჩა და გათავდა!

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში **კონსტანტინე გამსახურდიამ** კარგად დაინახა, თუ რას უქადდა ქართველ ხალხს ე. წ. ევროპეიზაცია და თავისი რომანის „მთვარის მოტაცება“ პერსონაჟის, თარაშ ემხვარის პირით არა მხოლოდ ევროპელ ფრაუს, არამედ მთელ ევროპას მიმართა: „თქვენ ევროპელები ეგოისტები ხართ, ჩვენგან მოითხოვთ გარდავიქმნათ, ე. ი. ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორიც ვყოფილვართ ან ვართ. თქვენ ბევრნი ხართ, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იგივე უფლებით ჩაგვყლაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას ვეშაპი. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენის შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელებისა და გვარის გამოთქმა, თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ყველას არზაყანას, კეგვას, თარაშის ნაცვლად ჯონი, ჰანსი და ჟანი გვერქვას.

თქვენ ის გირჩევნიათ, ჩვენ ჩვენი ენა დაგვავიწყდეს, თქვენს ენაზე გადავიდეთ, თქვენთვის უთუოდ აჯობებდა თქვენს ქარხნებში გაკეთებული საქონელი მოერგოს ჩვენს ტანს, თქვენს ავტომობილებს შევეჩვიოთ, თქვენი მანქანები ვიყიდოთ, თქვენი გაზეთები და წიგნები ვიკითხით და ჩვენზე ხელი ავიღოთ, თქვენი ღმერთი ვიწამოთ და ჩვენსას მივაფურთხოთ, თქვენი ლოცვები ვთქვათ.“ დიდმა მწერალმა ამ სიტყვებით არა მხოლოდ თავის თანამედროვე ევროპას, საერთოდ დღევანდელ ე. წ. ევროკავშირს, მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების მოსურნე ორგანიზაციებსა და ჩვენს ხელისუფლებაში მოკალათებულ ვაილიბერალებს სამართლიანი პასუხი გასცა.

ვფიქრობთ, ჩვენმა დღევანდელმა ვაილიბერალებმა თარაშ ემხვარის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები კარგად, მთელი სიგრძე-სი-

განით უნდა გაიაზრონ და მხოლოდ ამის შემდეგ უკიჟინონ ხალხს, რომ თურმე „ჩვენ ევროპელები ვართ“ და ჩვენი განვითარების არა დამოუკიდებელი, საკუთარი, არამედ მხოლოდ ევროატლანტიკელი ბოსების ნაკარნახევი გზით უნდა ვიაროთ,

ამერიკელი კონსერვატორი ბრაიან ფიშერი სამართლიანი შეშფოთებით აღნიშნავს: „ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრი ევროატლანტიკური ქვეყანა, ფაქტობრივად, თავისი ფესვების უგულველყოფის გზას დაადგა, მათ შორის ქრისტიანული ღირებულებებისაც... ტარდება პოლიტიკა, რომელიც მრავალშვილიან ოჯახსა და ერთსქესიან პარტნიორობას, ღვთისა და სატანის რწმენას ერთ დონეზე აყენებს. მიმდინარეობს პედოფილიის პროპაგანდა... ეს პირდაპირი გზაა დეგრადაციისა და პრიმიტივიზაციისაკენ, ღრმა დემოგრაფიული და ზნეობრივი კრიზისისაკენ.“

„ერის ხასიათის, მისი ფსიქიკის, მისი სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და მიზანსწრაფვის შეცნობის ერთადერთი მყარი წინაპირობაა მის მიერ განვლილი გზის გააზრება და ამ გზაზე შექმნილ სულიერ მემკვიდრეობაში ჩაღრმავება. აწმყოს შეცნობისა და მომავლის განჭვრეტის საფუძველია წარსულის გაცნობიერება, გამოწვლილვით გააზრება... ერის ტრაგედია მაშინ იწყება, როცა ის კარგავს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ იდეალს, როდესაც ხელიდან ეცლება ეროვნული მიზანსწრაფვა და კომპაქტურობა, როდესაც უსუსტდება მტრის ცნობისა და სიძულვილის გრძნობა, როდესაც პიროვნება კარგავს ინდივიდუალობასა და მთლიანობას. ერი დაღუპვის პირასაა, როდესაც მისთვის არ არსებობს ანგარიშგასაწევი ავტორიტეტი, მომავლის რწმენა და მოქალაქეთა ენერგია კი არ ერთიანდება ერთი მთლიანი ამაღლებული მიზნის განსახორციელებლად, არამედ ეს ენერგია ხურდავდება წვრილმანი მეშჩანურ-ობივატელური კეთილმდგომარეობის უზრუნველსაყოფად. ერი იხრწნება, როდესაც პირად-ოჯახური ინტერესები არ ექვემდებარება ეროვნულ-სახელმწიფოებრივს და ეს უკანასკნელი კარგავს პიროვნებისათვის აქტუალურ-საარსებო დანიშნულებას.

ასეთ ვითარებაში მყოფი მოქალაქე ადვილად ექვემდებარება სხვა ერის წამლეკ ზეგავლენას და ითვისებს მისი ერისათვის უცხო და შეუფერებელ ჩვევებს. ეროვნულ დაცემას წინ უძღვის პიროვნული დაცემა.“[15] სამართლიანად შენიშნავს ზ. ბარამიძე. ეს დიაგნოზი სრულიად მიესადაგება ჩვენს ახლანდელ მდგომარეობას.

[15] ქართული მწერლობა, 5, თბ., 1988, გვ.745, 769.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეს, როგორც არასდროს, ტოტალური ანტიეროვნული, ანტიმორალური, ანტისახელმწიფოებრივი, ანტირელიგიური (ჩვენს ქვეყანაში ანტიმართლმადიდებლური) პროპაგანდა, მარადიულ და ეროვნულ ფასეულობათა პროფანაცია, ე. წ. „ცივილიზებულ მსოფლიოში“ ერთსქესიანთა დაქორწინებისა და გეიაღლუმების დაკანონება-დაძალება, სექტანტებისა და პოლიტმეძავების მოძალება, როცა უზნეობა, ამორალიზმი, სიბილწე, სულისა და ხორცის გახრწნილება ერთმანეთშია არეული და ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს, ქვეყნის ისტორიული წარსულის სწორი გააზრება-შესისხლხორცება, საერთოდ, თითოეული ერისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს ფიზიკური გადარჩენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ისეთ ქვეყანას (ეკონომიკური თუ სამხედრო პოტენციალით რაც არ უნდა ძლიერი იყოს), სადაც უარყოფილია ტრადიციული ფასეულობები (რამაც ყველა ეროვნული სახელმწიფო დღემდე მოიყვანა), სამშობლო, პატრიოტიზმი, მომავლის რწმენა, საზოგადოების ინტერესები, ტრადიციები, ისტორია, სარწმუნოება და მხოლოდ პიროვნებათა ხორციელი სიამოვნებაა წინ წამოწეული, მას დიდი ხნის არსებობა არ უწერია, იგი გაქრობისთვისაა განწირული.

გამოყენებული ლიტერატურა.

ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ერთტომეული, თბ., 1985.

კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1923.

ბიბლია, თბ., 1989.

დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975.

ქართული მწერლობა, 2, თბ.,1987.

ქართული მწერლობა, 5, თბ.,1988.

მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა,თბ., 1990.

გაზ. „ასავალ-დასავალი,“ 18, 2014.

გაზ. „ასავალ-დასავალი,“ 32 და 34, 2016.

თ. იველაშვილი, პოლიტიკური სიბეცე თუ შეგნებული დანაშაული, ჟურნ. „კვალი,“ 3, თბ., 2015.

თ. იველაშვილი, საუკუნის უმძიმესი დანაშაული, წერილი მეორე//ჟ. „სამი საუნჯე,“ 1, თბ., 2014.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1975.

საპატრიარქოს უწყებანი, 2, 2014.

გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 2003.